საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება № 261

თბილისი „17“ 03 2014 წ.

დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ და „მ“ ქვეპუნქტებისა და „საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის „დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების“ საფინანსო შეთანხმების ხელმოწერის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 დეკემბრის №2181 განკარგულების თანახმად ხელმოწერილი „დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების“ შესახებ საფინანსო შეთანხმების პირობების საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის დროებით მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 7 მარტის N133206 და 2014 წლის 17 მარტის N149072 და N150827 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას დასაქმებისა და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

ა) ქეთევან ნატრიაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე - საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) მარიამ ჯაში - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე - საბჭოს თანათავმჯდომარე;

გ) გიორგი თაბუაშვილი - საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე - საბჭოს წევრი;

დ) მიხეილ ჯანელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე - საბჭოს წევრი;

ე) ილია კვიტაიშვილი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე - საბჭოს წევრი;

ვ) თენგიზ შერგელაშვილი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე - საბჭოს წევრი;

ზ) მარიამ რაქვიაშვილი - ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე - საბჭოს წევრი;

თ) რატი ბრეგაძე - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე – საბჭოს წევრი;

ი) თეა გულუა - „პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭო"-ს წარმომადგენელი, ა(ა)იპ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი - საბჭოს წევრი;

კ) გია მამულაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი - საბჭოს წევრი;

ლ) ელენე ჯიბლაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი - საბჭოს წევრი;

მ) ნოე ქინქლაძე - სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორი - საბჭოს წევრი.

ნ) ფილიპ დიმიტროვი - საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა (EU Delegation to Georgia) - საბჭოს წევრი;

ო) ირაკლი პეტრიაშვილი - ა(ა)იპ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე - საბჭოს წევრი;

პ) მიხეილ ჭელიძე - ა(ა)იპ საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე - საბჭოს წევრი;

ჟ) ირინა კვახაძე - ა(ა)იპ საქართველოს ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე - საბჭოს წევრი;

რ) სერგო თურმანიძე - ა(ა)იპ ასოციაციების მართვის ცენტრი (AMC) - საბჭოს წევრი;

ს) კახაბერ დაუშვილი - ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციაში პროექტის კოორდინატორი - საბჭოს წევრი.

2. დასაქმებისა და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობის მიზნით წარმომადგენლის განსაზღვრა ეთხოვოთ:

ა) გაეროს საქართველოში მოქმედ სააგენტოებს, მათ შორის გაეროს განვითარების პროგრამას საქართველოში (UNDP Georgia) და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას (IOM);

ბ) საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატას;

გ) ათასწლეულის გამოწვევის ფონდს - საქართველო (MCA);

დ) გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ);

3. დამტკიცდეს დასაქმებისა და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს დებულება ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

4. დაევალოს დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარეს, უზრუნველყოს საბჭოს პირველი სხდომის ჩატარება არაუგვიანეს 2014 წლის 17 მარტისა.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

თამარ სანიკიძე

დანართი

დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს დებულება

მუხლი 1. დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს მიზანი

დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს (შემდგომში - „საბჭოს“) მიზანია საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის „დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების“ საფინანსო შეთანხმების პირობათა შესაბამისად, დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის (შემდგომში - „სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამა“) განხორციელების მონიტორინგი და კოორდინაცია.

მუხლი 2. საბჭოს ფუნქციები და ამოცანები

საბჭოს ფუნქციები და ამოცანებია:

ა) საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების მიერ სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ტექნიკური და ფინანსური მონიტორინგის ანგარიშებისა და სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ ანგარიშების დროული მომზადებისა და წარდგენის ვალდებულებათა შესრულების მონიტორინგი;

ბ) სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის სრულფასოვანი განხორციელების გარანტიათა შექმნის მიზნით:

ბ.ა) საჭიროების შესაბამისად საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში თემატური ჯგუფების ჩამოყალიბების ან გაძლიერების უზრუნველყოფა.

ბ.ბ) საქართველოს მთავრობასა და დონორებს შორის მიმდინარე საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების მიერ სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი შრომის ბაზრისა და დასაქმების, ასევე პროფესიული განათლებისა და გადამზადების სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის საკითხების განხილვაში ევროკომისიის ჩართულობის უზრუნველყოფა;

ბ.გ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროთა სტრუქტურაში ან/და მათ დებულებებში საქართველოს მთავრობის მიერ განსახორციელებელი პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცვლილების ევროკომისიისთვის წინასწარი შეტყობინების უზრუნველყოფა;

ბ.დ) საქართველოს მთავრობასა და დონორებს შორის მიმდინარე სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცვლილების ევროკომისიისთვის წინასწარი შეტყობინების უზრუნველყოფა;

გ) ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ასევე, ტექნიკურ დახმარებაში ჩართული პირების, მათ შორის სპეციალიზებული მისიების (რევიზია, აუდიტი, შეფასება და სხვ.) წევრებისათვის სექტორული

პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული შემდეგი დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა:

გ.ა) სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით წარმოებული გადარიცხვების ამსახველი საბანკო დოკუმენტაცია;

გ.ბ) სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისთვის მნიშვნელოვან სფეროებში მიღებული საკანონმდებლო აქტები, საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტები და სხვა საკანონმდებლო/მარეგულირებელი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, ასევე ამ აქტების პროექტები;

გ.გ) სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისათვის მნიშვნელოვან სფეროებში საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (IMF), მსოფლიო ბანკთან (WB), გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა (UN) და მის სააგენტოებთან და ევროპის საბჭოსა და მის სააგენტოებთან გაფორმებული შეთანხმებები და მომზადებული ანგარიშები;

გ.დ) სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის მნიშვნელოვან სფეროებში საქართველოს მთავრობისა და ამ პუნქტის „გ.გ." ქვეპუნქტით გაუთვალისწინებელი დონორების სამოქმედოდ მიღებული სტრატეგიის დოკუმენტები და მომზადებული ანგარიშები.

გ.ე) სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისთვის მნიშვნელოვან სფეროებში საქართველოს მთავრობისა და ამ პუნქტის „გ.გ." ქვეპუნქტით გაუთვალისწინებელი სხვა დონორების მიერ სამოქმედოდ მიღებული სტრატეგიის დოკუმენტები და მომზადებული ანგარიშები.

მუხლი 3. საბჭოს უფლებამოსილებანი

საბჭო უფლებამოსილია:

ა) ჩამოაყალიბოს მუშაობის მანდატი და სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის მიმდინარეობის მონიტორინგის სათანადო მექანიზმი;

ბ) განიხილოს ანგარიშები სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის მხარეს მიაწოდოს რეკომენდაციები;

გ) განსაზღვროს სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების პროცესში მოსალოდნელი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები;

დ) გარეგანი ფაქტორებისა და გარემოებათა ცვლილებების გამო, ევროკომისიას განსახილველად შესთავაზოს ცვლილებები სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებაში;

ე) საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისა ან/და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების მოთხოვნის საფუძველზე გაუწიოს მათ რეკომენდაცია სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებისა და სამართლებრივი აქტების პროექტებზე.

ვ) დაეხმაროს აუცილებელი კომუნიკაციის განხორციელებაში სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის მიმდინარეობაზე მეთვალყურეობასა და კონტროლში ჩართულ ორგანიზაციებს, მისიებსა და ცალკეულ პირებს;

ზ) მოითხოვოს და მიიღოს საქართველოს სამინისტროებისაგან, სხვა საჯარო დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან საბჭოს საქმიანობისათვის აუცილებელი ინფორმაცია;

თ) საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს გადაწყვეტილება, დამკვირვებლებად ან ექსპერტებად სხვა სამინისტროების ან ორგანიზაციების წევრების, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების, საქართველოში სამართლებრივი რეფორმებისთვის ევროკომისიის ტექნიკური დახმარების წარმომადგენლების, ევროპული გადამზადების ფონდის ექსპერტების, საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტების ან სხვა შესაბამისი დაინტერესებული პირების მოწვევის შესახებ;

ი) ამ დებულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საბჭოს ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად საბჭოს წევრებთან შეთანხმებით განახორციელოს სხვა უფლებამოსილება.

მუხლი 4. საბჭოს ხელმძღვანელობა და მუშაობის წესი

1. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარი მაინც;

2. საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე ან თანათავმჯდომარე, რომელიც:

ა) უძღვება საბჭოს საქმიანობას;

ბ) ამტკიცებს საბჭოს დღის წესრიგს სამდივნოს წარდგინებით;

გ) ავალებს საბჭოს სამდივნოს საბჭოს სხდომის მოწვევას და წარმართავს საბჭოს სხდომებს;

დ) წარმოადგენს საბჭოს მესამე პირებთან ურთიერთობაში;

ე) უზრუნველყოფს საბჭოს ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვა ღონისძიებების განხორციელებას.

3. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში სხდომას უძღვება საბჭოს თანათავმჯდომარე.

4. საბჭოს სხდომების ორგანიზებასა და საბჭოს თავმჯდომარის მიერ გაცემულ დავალებათა შესრულების მონიტორინგს უზრუნველყოფს საბჭოს სამდივნო, რომელიც იქმნება საბჭოს მიერ და კომპლექტდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომლებით.

5. საბჭოს თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

6. საბჭოს გადაწყვეტილება რეკომენდაციებთან დაკავშირებით მიიღება დამსწრე წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს სხდომის თავმჯდომარის ხმა.

7. საბჭოს სხდომის ოქმს და საბჭოს თავმჯდომარის შესაბამის დავალებებს აფორმებს და ხელმოსაწერად ამზადებს საბჭოს სამდივნო.

8. საბჭო იკრიბება არანაკლებ სამ თვეში ერთხელ საჭიროების შემთხვევაში, საბჭოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა საბჭოს თავმჯდომარის ან საბჭოს წევრთა უმრავლესობის მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 5. საბჭოს საქმიანობის უზრუნველყოფა

1. საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ და ინტელექტუალურ მხარდაჭერას ახორციელებს საბჭოს სამდივნო.

2. საბჭოს სამდივნო უზრუნველყოფს:

ა) საბჭოს სხდომათა მომზადებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას;

ბ) საბჭოს სხდომათა დღის წესრიგის მომზადებას;

გ) საბჭოს სხდომათა მიმდინარეობისა და მიღებული გადაწყვეტილებების ამსახველი საოქმო ჩანაწერების ოფიციალურ წარმოებას, შენახვასა და სისტემატიზაციას;

დ) საბჭოს დავალებათა შესრულების მიზნით საბჭოს წევრებსა და თემატური სამუშაო ჯგუფების წევრებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და ურთიერთობის კოორდინაციას;

ე) სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისთვის მნიშვნელოვანი საინფორმაციო-ანალიტიკური და ანგარიშგებითი მასალების მომზადების კოორდინაციას;

ვ) საბჭოს უფლებამოსილებათა განხორციელებისთვის საჭირო სხვა საქმიანობების წარმართვას.